

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აცანის ადმინისტრაციული
ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის
ემზარ თევდორაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი**

წარმოგიდგენთ, 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგეხსენებათ, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მივიღე და გავხდი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი აცანის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრი უფლებამოსილებას ვანხორციელებ საკრებულოს „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში“- დავესწარი კომისიის 2 სხდომას, ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს წევრი, დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას, ასევე ვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს როგორც რიგით, ასევე რიგგარეშე სხდომებში 14-ჯერ.

2018 წლიდან ვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. ჩავატარე **6 კომისიის სხდომა**, მათ შორის **1 გაერთიანებული სხდომა** ჩატარდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან ერთად. განხილულია 18 საკითხი და მიღებულ იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ 16 პროგრამა, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ 11 პროგრამა, ჩატარდა **1 მონიტორინგი**, რომელიც მიზნად ისახავდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ არსებული მდგომარეობის შესწავლას, **1 სამუშაო შეხვედრა**, რომელზეც განხილულ იქნა ნორმატიული აქტები.

როგორც აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად მაქვს შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, განვიხილავთ ინფრასტრუქტურულ და

სოციალურ საკითხებს. აცანა მაღალმთიანი სოფელია, ხშირია გზების დამეწყვრა, სოფელში რთული სოციალური ფონია □□შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობ დავეხმარო ყველა ოჯახს.

აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში

„მედიკამენტების შექმნაზე დახმარების პროგრამიდან“ დახმარება გაეწია 24 ბენეფიციარს;

„სამკურნალო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით“ სარგებლობს 5 ბენეფიციარი.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 2 ბენეფიციარს.

ინფრასტრუქტურული პროექტებიდან განხორციელდა:

2017 წელს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სახლის სახურავების რეაბილიტაცია, რომელიც გადაიხურა 2018 წელს. ასეთია 10 ოჯახი.

2018 წლის მარტის თვეში გადაიხურა 3 ოჯახი;

2 აპრილის სტიქიის შედეგად დაეხმარნენ 14 ოჯახს;

30 ნოემბრის სტიქიის დროს დაეხმარნენ 18 ოჯახს;

სოფ. აცანაში ქინქლაძეების უბანში მოეწყო სანიაღვრე სისტემა;

სოფელ აცანაში მოეწყო შიდა გზები;

თედორაძეების უბანში დათო ჩხაიძის ეზოსთან გაკეთდა რკ/ბეტონის გზა;

ნიკიფორე თვალაბეიშვილი ეზოსთან მოეწყო რკ/ბეტონის გზა;

კვიციანიებისა და წილოსნების უბანში მოეწყო რკ/ბეტონის გზა;

აღდგა აცანა-აკეთის დამაკავშირებელი გზა;

ნაშენებას უბანში შოთა გუჯაბიძის ეზოსთან გაკეთდა რკ/ბეტონის გზა;

წილოსნების უბანში მამუკა მგელაძის ეზოსთან მოეწყო რკ/ბეტონის გზა;

ჯიჯიეშვილების უბანში გაიწმინდა ჩამოწოლილი მეწყერი;

რობიზონ ჩხაიძის ეზოს მიმდებარედ მდინარე აცაურაზე მოეწყო ხიდი;


მაგული ჩხაიძის ეზოსთან გაკეთდა საყრდენი კედელი.

2019 წლისთვის ე.წ კვიციანიების უბანში მოეწყობა გარე განათება; მოხდება წყაროს რეაბილიტაცია; წყლის წისქვილის აღდგენა; მოეწყობა საექიმო უბნის ოთახი. ასევე დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა.

დასასრულს, მე როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან.

პატივისცემით,

ემზარ თევდორაძე



კომისიის თავმჯდომარე
საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისია